585
1959

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 4 (91) აპრილი 1959 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განხრახულებათა კომისიის არჩევის შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის არჩევის შესახებ.
6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის არჩევის შესახებ.
7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის კომისიის არჩევის შესახებ.
8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის არჩევის შესახებ.
9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის არჩევის შესახებ.
10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის არჩევის შესახებ.
11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისიის არჩევის შესახებ.
12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისიის არჩევის შესახებ.
13. კანონი საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ.
14. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 134 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
15. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
16. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 31 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
17. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 123 მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.
18. კანონი „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის თაობაზე „მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.
20. საქართველოს სსრ მთავრობის—მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ.
21. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

22. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად ამხ. გ. მ. მარუაშვილის დანიშვნის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

23. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ.

24. ამხ. გ. კ. ცქიტიშვილის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ.

25. ამხ. ა. ვ. აბაშიძის, ნ. ა. ბადაგაძის, გ. ვ. ბლიაძის, ვ. ვ. მეშკუდიანისა და ა ე. ტაკიძის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

26. ბრძანებულება შ. ი. ამირანაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის განყოფილებების გაუქმებისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ვაჭრობის სამმართველოს შექმნის შესახებ.

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებების გაუქმების შესახებ.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების გაუქმებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების შექმნის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ვიქტორ დიმიტრის-ძე კუპრაძე — დეპუტატი ქ. თბილისის სტუდენტთა საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

7832

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნან:

ბლაჟბა ხუხუტი სოლომონის-ძე — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ლენინის საარჩევნო ოლქისაგან

ბაქრაძე მურმან ხემიდის-ძე — დეპუტატი აჭარის ასსრ აჭარისწყლის საარჩევნო ოლქისაგან

გუბიევა ეთერ ანტონის ასული — დეპუტატი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინის საარჩევნო ოლქისაგან.

სირაძე ვიქტორია მოსეს ასული — დეპუტატი ქ. თბილისის სამრეწველო საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია 11 კაცის შემადგენლობით:

2. სამანდატო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარე

გოშაძე გაბრიელ ნოეს-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის ნინოშვილის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

ავიძბა ნიურა რიზას ასული	— დეპუტატი აფხაზეთის ასსრ კალინინის საარჩევნო ოლქისაგან
გარდაფხაძე კარლო კონსტანტინეს-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის სტუდენტთა საარჩევნო ოლქისაგან
გონჯილაშვილი დავით სიმონის-ძე	— დეპუტატი თიანეთის რაიონის თიანეთის საარჩევნო ოლქისაგან
ესართია ვიქტორ უტუს-ძე	— დეპუტატი ზუგდიდის რაიონის ნარაზენის საარჩევნო ოლქისაგან
თვალაშვილი კონსტანტინე გიორგის ძე	— დეპუტატი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის საარჩევნო ოლქისაგან
მატოიანი სპარტაკ სიმონის-ძე	— დეპუტატი ახალქალაქის რაიონის ალასტანის საარჩევნო ოლქისაგან
მახარაშვილი ნადეჟდა იაგორის ასული	— დეპუტატი ხაშურის რაიონის გომის საარჩევნო ოლქისაგან
მირიანაშვილი მედეია დიმიტრის ასული	— დეპუტატი სიღნაღის რაიონის ანაგის საარჩევნო ოლქისაგან
რუდეესკი ივანე ლუკას-ძე	— დეპუტატი აჭარის ასსრ ქედის საარჩევნო ოლქისაგან
შაბანოვი კახრამან მუსა ოღლი	— დეპუტატი მარნეულის რაიონის ყაჩაღანის საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივი კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

2. საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ესაიაშვილი ვარლამ გიორგის-ძე	— დეპუტატი აჭარის ასსრ შუახევის საარჩევნო ოლქისაგან

კომისიის წევრები:

ავაზაშვილი ალიხან ალექსის-ძე	— დეპუტატი ყვარლის რაიონის ყვარლის საარჩევნო ოლქისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არშბა სოკრატ იაკობის-ძე	— დეპუტატი აფხაზეთის ასსრ აძიუბჟის საარჩევნო ოლქისაგან
გელაშვილი დიმიტრი ვასილის-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის მარტყოფის საარჩევნო ოლქისაგან
გოგბრონიძე აკაკი გრიგოლის-ძე	— დეპუტატი ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საარჩევნო ოლქისაგან
დოლიძე შოთა ანდრიას-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის მერკვილაძის საარჩევნო ოლქისაგან
ვიშნიაკოვი ივანე დიმიტრის-ძე	— დეპუტატი ქ. რუსთავის მთავარი არხის საარჩევნო ოლქისაგან
თოფურიძე მიხეილ ესტატეს-ძე	— დეპუტატი გეგეჭკორის რაიონის თამაკონის საარჩევნო ოლქისაგან
ილურიძე კონსტანტინე მიხეილის ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან
კავაძე ვასილ ვარდენის-ძე	— დეპუტატი ასპინძის რაიონის ასპინძის საარჩევნო ოლქისაგან
მაღლაფერიძე ლუკა იოსების ძე	— დეპუტატი მაიაკოვსკის რაიონის წითელ-ხევის საარჩევნო ოლქისაგან
მჟავანაძე მერი მეჯიდის ასული	— დეპუტატი აჭარის ასსრ მუხაესტატეს საარჩევნო ოლქისაგან
ტანველი ალმა იაკობის ასული	— დეპუტატი აფხაზეთის ასსრ განთიადის საარჩევნო ოლქისაგან
ცაგარეიშვილი პეტრე კონსტანტინეს-ძე	— დეპუტატი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ავნევის საარჩევნო ოლქისაგან
ხაბულიანი ივანე თეიმურაზის-ძე	— დეპუტატი ლენტეხის რაიონის ლენტეხის საარჩევნო ოლქისაგან.

ქ თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი საბიუჯეტო კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

2. საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ჭახრაკია ნიკოლოზ ერმალოზის-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის დიღომის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

ასათაშვილი ალექსი ყიდულას-ძე	— დეპუტატი თელავის რაიონის თელავის სტალინის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგდანოვა პოლინა ნიკოლოზის ასული — დეპუტატი ქ. თბილისის საბჭოთა საარჩევნო ოლქისაგან

ეცადაშვილი ილია მათეს-ძე — დეპუტატი ქარელის რაიონის ქარელის საარჩევნო ოლქისაგან

თოხაძე ვასტანგ ზაქარიას-ძე — დეპუტატი მახარაძის რაიონის შემოქმედის საარჩევნო ოლქისაგან

კვარაცხელია ბიქტორ სტეფანეს-ძე — დეპუტატი ქ. ფოთის სტალინის საარჩევნო ოლქისაგან

ლეონიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — დეპუტატი ლაგოდეხის რაიონის აფენის საარჩევნო ოლქისაგან

მამედოვი ჯამალ ბალაჯა ოღლი — დეპუტატი მარნეულის რაიონის გიაურარხის საარჩევნო ოლქისაგან

მელქაძე ვალერიან ირაკლის-ძე — დეპუტატი მარნეულის რაიონის შულავერის საარჩევნო ოლქისაგან

ოგანესიანი სამსონ ვართანის-ძე — დეპუტატი ახალქალაქის რაიონის დილისკის საარჩევნო ოლქისაგან

როდომანჩენკო ნიკოლოზ ივანეს-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის ნავთლუღის საარჩევნო ოლქისაგან

ტოლიაშვილი იაკობ ალექსის-ძე — დეპუტატი გორის რაიონის ატენის საარჩევნო ოლქისაგან

შავიშვილი კიტა ნიკოლოზის-ძე — დეპუტატი აპარის ასსრ მახინჯაურის საარჩევნო ოლქისაგან

შარტავა შოთა ელიზბარის-ძე — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ სტალინის საარჩევნო ოლქისაგან

ხარებოვი პავლე გიორგის-ძე — დეპუტატი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კვაისის საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისია 13 კაცის შემადგენლობით.

2. საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

მჭედლიშვილი დავით ვასილის-ძე — დეპუტატი სიღნაღის რაიონის სიღნაღის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები:

ანდრონიკაშვილი ელეფთერ ლუარსაბის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის საბურთალოს საარჩევნო ოლქისაგან

გოგიტაძე ალექსანდრე იოსების-ძე — დეპუტატი აჭარის ასსრ ჩაქვის საარჩევნო ოლქისაგან

გოგიჩაიშვილი მიხეილ ალექსანდრეს-ძე — დეპუტატი ვანის რაიონის ზეინდრის საარჩევნო ოლქისაგან

გოგოხია დამიანე ვლადიმერის-ძე — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ გალის საარჩევნო ოლქისაგან

გრიგალაშვილი ბარბარე ნიკოლოზის ასული — დეპუტატი ქ. თბილისის ქუთაისის საარჩევნო ოლქისაგან

ზავრიევი კირიაკ სამსონის-ძე — დეპუტატი ბოგდანოვკის რაიონის განძნის საარჩევნო ოლქისაგან

მენთეშაშვილი თენგიზ ნიკოლოზის-ძე — დეპუტატი კასპის რაიონის კავთისხევის საარჩევნო ოლქისაგან

მუეფლიძე დიმიტრი სიმონის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის რუსთაველის საარჩევნო ოლქისაგან

ნემსაძე ოთარ მიხეილის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქისაგან

შადური არჩილ ივანეს-ძე — დეპუტატი ყაზბეგის რაიონის ყაზბეგის საარჩევნო ოლქისაგან

ჩხიკვაშვილი ირაკლი იოსების-ძე — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის საარჩევნო ოლქისაგან

ძამაშვილი არჩილ ვასილის-ძე — დეპუტატი ქ. რუსთავის მეტალურგთა საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

2. მრეწველობისა და ტრანსპორტის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ხვედელიანი იაკობ რომანოზის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის დიმიტროვის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

აგაპოვი ანატოლი კაზიმირის-ძე — დეპუტატი ქ. ქუთაისის რუსთაველის საარჩევნო ოლქისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსიშვილი ტატიანა ივანეს ასული — დეპუტატი ქ. თბილისის პუშკინის საარ-ჩევნო ოლქისაგან

ბიძინაშვილი ზაქარია მოსეს-ძე — დეპუტატი სიღნაღის რაიონის წნორის საარჩევნო ოლქისაგან

ბუაჩიძე იოსებ მოსეს-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის ტელმანის საარ-ჩევნო ოლქისაგან

გაბელაია აკაკი ესტატეს-ძე — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ოქტომბრის საარჩევნო ოლქისაგან

თითბერიძე შოთა ამბროსის-ძე — დეპუტატი ქ. რუსთავის მარჯვენა ნაპი-რის საარჩევნო ოლქისაგან

კეკელია ვლადიმერ ვასილის-ძე — დეპუტატი აჭარის ასსრ ლენინის საარ-ჩევნო ოლქისაგან

კიზოვიძე ნიკოლოზ სერგეიანეს-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის საქარხნო საარ-ჩევნო ოლქისაგან

მამაცაშვილი დავით გიორგის-ძე — დეპუტატი ხაშურის რაიონის ხაშურის სტალინის საარჩევნო ოლქისაგან

ურუშაძე ვაჟტანგ ტარასის-ძე — დეპუტატი საჩხერის რაიონის საჩხერის საარჩევნო ოლქისაგან

ქერქაძე ვლადიმერ გიორგის-ძე — დეპუტატი ახალციხის რაიონის ახალცი-ხის ჯაფარიძის საარჩევნო ოლქისაგან

ქუტიძე შოთა პლატონის-ძე — დეპუტატი ბოლნისის რაიონის ქვეშის საარჩევნო ოლქისაგან

ჯანელიძე თამაზ ბესარიონის-ძე — დეპუტატი ქ. ჭიათურის ლენინის საარ-ჩევნო ოლქისაგან

ჯაფარიძე ერმალოზ მინას-ძე — დეპუტატი ონის რაიონის ონის საქალა-ქო საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

2. სოფლის მეურნეობის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემ-დეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

დურმიშიძე სერგი ვასილის-ძე — დეპუტატი საჩხერის რაიონის კორბოუ-ლის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

აბლაჯი ეიფიკო დავითის-ძე — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აივაზაშვილი ოსანა ნიკოლოზის ასული	— დეპუტატი ახმეტის რაიონის ახმეტის საარჩევნო ოლქისაგან
ბაქრაძე პეტრე ნიკოლოზის-ძე	— დეპუტატი ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საარჩევნო ოლქისაგან
ბაჯელიძე ბესირე ოსმანის ასული	— დეპუტატი აჭარის ასსრ ხუცუბნის საარჩევნო ოლქისაგან
ბურდული ვიქტორ ალექსის-ძე	— დეპუტატი დუშეთის რაიონის ბაზალეთის საარჩევნო ოლქისაგან
დევდარიანი გიორგი მიხეილის-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის კოჯრის საარჩევნო ოლქისაგან
თავაძე თამარ მიხეილის ასული	— დეპუტატი სამტრედიის რაიონის სამტრედიის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან
თავზარაშვილი ზურაბ ილიას-ძე	— დეპუტატი გორის რაიონის შავშვების საარჩევნო ოლქისაგან
კეჩხუაშვილი გაბრიელ ისაკის-ძე	— დეპუტატი კასპის რაიონის ყარაღაჯის საარჩევნო ოლქისაგან
საბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის-ძე	— დეპუტატი წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის საარჩევნო ოლქისაგან
სარიშვილი ივანე ფაუსტის-ძე	— დეპუტატი ლანჩხუთის რაიონის სუფსის საარჩევნო ოლქისაგან
ყულიევი მახმუდ ყულის-ძე	— დეპუტატი დმანისის რაიონის ამამლოს საარჩევნო ოლქისაგან
შავგულიძე ვალერიან ილიას-ძე	— დეპუტატი გურჯაანის რაიონის კარდანახის საარჩევნო ოლქისაგან
შონია გრიგოლ ძაკას-ძე	— დეპუტატი წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

2. განათლებისა და კულტურის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კ ო მ ი ს ი ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

დვალი რაფიელ რაფიელის-ძე	— დეპუტატი ბორჯომის რაიონის ბორჯომ-ბაღის საარჩევნო ოლქისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები:

ბალანჩივაძე ანდრია მელიტონის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის ნასაკირალის საარჩევნო ოლქისაგან

ბექაური ალექსი სიმონის-ძე — დეპუტატი თეთრიწყაროს რაიონის ჯორჯიაშვილის საარჩევნო ოლქისაგან

ბლრციანი აკოფ არამის-ძე — დეპუტატი ახალქალაქის რაიონის ოკამის საარჩევნო ოლქისაგან

ბურმისტროვა ნატალია მიხეილის ასული — დეპუტატი ქ. თბილისის მოსკოვის საარჩევნო ოლქისაგან

გოძიაშვილი ვასილ დავითის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის მარჯანიშვილის საარჩევნო ოლქისაგან

დოლიძე სიმონ ბესარიონის-ძე — დეპუტატი მახარაძის რაიონის ბახვის საარჩევნო ოლქისაგან

კელენჯერიძე ანტონ კირილეს-ძე — დეპუტატი ცხაკაიას რაიონის ცხაკაიას საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან

შაკაია ილარიონ ჩაგუს-ძე — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ფოქეეშის საარჩევნო ოლქისაგან

ჩაჩხიანი გრიგოლ გრიგოლის-ძე — დეპუტატი ცაგერის რაიონის ორბელის საარჩევნო ოლქისაგან

ჩიქობავა არნოლდ სტეფანეს-ძე — დეპუტატი ცხაკაიის რაიონის ნოსირის საარჩევნო ოლქისაგან

ჭილაია სერგო ესტატეს-ძე — დეპუტატი ხობის რაიონის ხეთის საარჩევნო ოლქისაგან

ხათრიძე ნინო სტეფანეს ასული — დეპუტატი ქ. ქუთაისის მაიაკოვსკის საარჩევნო ოლქისაგან

ხორავა აკაკი ალექსის-ძე — დეპუტატი წალენჯიხის რაიონის ჯგალის საარჩევნო ოლქისაგან

ჯაფარიძე უჩა (ილია) მალაქიას ძე — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ჭუბურხინჯის საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

2. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ერისთავი კონსტანტინე დავითის-ძე — დეპუტატი აჭარის ასსრ გორკის საარჩევნო ოლქისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები:

ანიშჩიკი გიორგი სტეფანეს-ძე — დეპუტატი ქ. ქუთაისის თბილისის საარჩევნო ოლქისაგან

ბერეტიანი დარია ივანეს ასული — დეპუტატი ქ. თბილისის ფიოლეტოვის საარჩევნო ოლქისაგან

გაგოშიძე გიორგი ვასილის-ძე — დეპუტატი წყალტუბოს რაიონის წყალტუბოს საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

კინწურაშვილი აკაკი კონდრატის-ძე — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ალახაძის საარჩევნო ოლქისაგან

კორძაძე ვასილ მიხეილის-ძე — დეპუტატი წულუკიძის რაიონის კუხის საარჩევნო ოლქისაგან

ლომაშვილი ჯიბო ნიკოლოზის-ძე — დეპუტატი ბორჯომის რაიონის წაღვერის საარჩევნო ოლქისაგან

სამხარაძე მიხეილ მინაგოს-ძე — დეპუტატი ორჯონიკიძის რაიონის ბორითის საარჩევნო ოლქისაგან

სეხნიაშვილი გიორგი საბას-ძე — დეპუტატი მცხეთის რაიონის საგურამოს საარჩევნო ოლქისაგან

სიხარულიძე გიორგი ვასილის-ძე — დეპუტატი ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საარჩევნო ოლქისაგან

ჭკადუა სოსო ფილიმონის ძე — დეპუტატი მესტიის რაიონის მესტიის საარჩევნო ოლქისაგან

ხარაძე ევგენი კირილეს-ძე — დეპუტატი ადიგენის რაიონის აბასთუმნის საარჩევნო ოლქისაგან

ჯანაშვილი ოლღა ზაქარიას ასული — დეპუტატი ქ. თბილისის ტოლსტოის საარჩევნო ოლქისაგან

ჯანჯღავა ვარლამ სოსრამის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის ჟდანოვის საარჩევნო ოლქისაგან

ჯიბლაძე ნიკოლოზ მელქისის-ძე — დეპუტატი მარნეულის რაიონის მარნეულის საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

2. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ჩხარტიშვილი სევერიან კაპიტონის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის შაუმიანის საარჩევნო ოლქისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები:

აბესაძე პლატონ სილოონის-ძე	— დეპუტატი ქ. ჭიათურის სვერის საარჩევნო ოლქისაგან
ბოლისკერია ნათელა ნესტორის ასული	— დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ოქუმის საარჩევნო ოლქისაგან
გოგლიძე კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის თბილისის საარჩევნო ოლქისაგან
გოგორიშვილი მერი ნოეს ასული	— დეპუტატი ქ. თბილისის ლესელიძის საარჩევნო ოლქისაგან
დურგარიანი ვართ აროუთინის-ძე	— დეპუტატი ბოგდანოვკის რაიონის ჯიგრაშენის საარჩევნო ოლქისაგან
კაპანაძე თევდორე არჩილის-ძე	— დეპუტატი ზესტაფონის რაიონის ქვედა საქარის საარჩევნო ოლქისაგან
მაკაროვი ათანასე კუზმას-ძე	— დეპუტატი წალკის რაიონის ედიქნელისის საარჩევნო ოლქისაგან
ნადაშვილი გიორგი ლევანის-ძე	— დეპუტატი საგარეჯოს რაიონის უჯარმის საარჩევნო ოლქისაგან
საბაშვილი დავით ხარიტონის-ძე	— დეპუტატი მახარაძის რაიონის ნასაკირალის საარჩევნო ოლქისაგან
სახეჩიძე პავლე პრამონის-ძე	— დეპუტატი თერჯოლის რაიონის თერჯოლის საარჩევნო ოლქისაგან
სუხიშვილი ვლადიმერ თევდორეს-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქისაგან
ჩოფიკაშვილი ვასილ ალექსანდრეს-ძე	— დეპუტატი ქ. გორის სტალინის საარჩევნო ოლქისაგან
ჭელიძე გრიგოლ სიმონის-ძე	— დეპუტატი ამბროლაურის რაიონის ამბროლაურის საარჩევნო ოლქისაგან
ჭუმბურიძე ილია დავითის ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის მახათას საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი

12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

2. საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

ბუკია ბორის სამსონის-ძე	— დეპუტატი ქ. თბილისის კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის წევრები:

ბარათაშვილი მედეია
შალვას ასული
ბატიაშვილი ალექსი
გიორგის-ძე
ბუდუმიანი არტავაზდ
გიორგის-ძე
გამხიტარშვილი ვლადიმერ
ალექსის-ძე
გიორგაძე რესტორ
ასლოს ძე
კობახიძე შოთა
სიმონის-ძე
კუბლაშვილი შოთა
ბიქტორის-ძე
მუხიგულაშვილი პავლე
მიხეილის-ძე
ომერიძე ნადეჟდა
ფილიმონის ასული
პაპიაშვილი ვახტანგ
იოსების-ძე
პაპიავინი ნიკოლოზ
ფილიპეს ძე
უკლება ლევან
მიხეილის ძე
ურუშაძე იროდიონ
ბორისის ძე
ცანავა მიხეილ
ვასილის ძე

— დეპუტატი აფხაზეთის ასსრ გუმისთის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი თელავის რაიონის იყალთოს საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ქ. თბილისის ჯაფარიძის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ქ. თბილისის კომინტერნის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი გორის რაიონის მეჯვრისხევის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ქ. ქუთაისის კიროვის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ტყიბულის რაიონის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ქ. თბილისის ლიკანის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ქ. თბილისის შრომის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი კასპის რაიონის ქვემო ჭალის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ქ. თბილისის კახეთის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი აჭარის ასსრ საქარხნო საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ცხაკაიას რაიონის მენჯის საარჩევნო ოლქისაგან
— დეპუტატი ჩხოროწყუს რაიონის ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქისაგან.

ქ. თბილისი.
1959 წ. 17 აპრილი.

13. კანონი საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ

ჩვენი ქვეყანა შევიდა ახალ პერიოდში—კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, რომლის დიადი პროგრამა დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. ყრილობამ აღნიშნა, რომ კომუნიზმზე გადასვლისათვის საჭიროა არა მარტო განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნებულობის მაღალი დონეც და ხაზი გაუსვა მშრომელთა, განსაკუთრებით მოზარდი თაობის, კომუნისტური აღზრდის ამოცანის დიდ მნიშვნელობას. ამ ამოცანის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საბჭოთა სკოლას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის 1958 წლის 24 დეკემბრის კანონი „სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ თეზისების საფუძველზე, რომლებიც ერთსულოვნად იქნა მოწონებული საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, ასახავს საბჭოთა საზოგადოების მომწიფებულ მოთხოვნილებებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში, მოასწავებს ახალ ეტაპს საბჭოთა სკოლის განვითარებაში და წარმოადგენს მოზარდი თაობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველობის ახალ გამოვლინებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე ვადაში არნახულ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის საქმეში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარების მეოხებით საქართველოს სს რესპუბლიკაში განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება, ფართოდ განვითარდა საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი განათლება. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების მხრივ საქართველომ გაუსწრო ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას.

დიდი წარმატებებია მიღწეული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. შექმნილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, აგრეთვე ბევრი სხვა სამეცნიერო დაწესებულება.

კულტურის დარგში რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ მიღწევებში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა სკოლამ.

საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნა განუყრელად არის დაკავშირებული ახალი ადამიანის აღზრდასთან, ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულად უნდა იყოს შეზამბული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. კომუნისტური საზოგადოების ადამიანი თავისუფალი იქნება წარსულის გადმონაშთებისაგან, მომზადებული იქნება გონებრივი და ფიზიკური შრომისათვის. ადამიანის ჰარმონიული განვითარება წარმოუდგენელია ფიზიკური შრომის გარეშე, რომელიც ამაგრებს ორგანიზმს და ამაღლებს მის სასიცოცხლო ფუნქციებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ძირეულად ცვლიან შრომის ხასიათს. მუშათა და კოლმეურნეთა შრომა სულ უფრო მეტად უახლოვდება ინჟინრების, ტექნიკოსების, აგრონომებისა და სხვა სპეციალისტების შრომას. თანდათანობით ისპობა არსებითი განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის.

სახალხო განათლების განვითარებისა და საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების საქმეში მიღწეული შესანიშნავი წარმატებების მიუხედავად, ჩვენს ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სკოლებს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ, ისინი ჩამორჩებიან კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნებს. ამ ნაკლოვანებათაგან მთავარია სწავლების ერთგვარი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, სკოლების კურსდამთავრებულთა სუსტი მომზადება პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოზარდი თაობის აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით, საჭიროდ მიიჩნია დაუახლოვოს სკოლა ცხოვრებას, შეაერთოს სწავლება საზოგადოებრივად სასარგებლო ნაყოფიერ შრომასთან.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოწოდებულია მომზადოს ყოველმხრივ განათლებული ადამიანები, რომლებიც კარგად უნდა იცნობდნენ მეცნიერების საფუძვლებს და ამასთან შესწევდეთ სისტემატური ფიზიკური შრომის უნარი, ჩაუნერგოს ახალგაზრდობას მისწრაფება სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, აქტიურად მოხაწილეობდეს საზოგადოებისათვის საჭირო მატერიალურ ფასეულობათა წარმოებაში. სწავლების მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან უნდა გახდეს სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების, მოზარდი თაობის კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდის საფუძვლების წამყვანი საწესი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ-ეკონომიური ზრდის პერსპექტივები, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ განხორციელება სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მუშათა კადრების პროფესიულ-ტექნიკურ მომზადებას და საწარმოო კვალიფიკაციას. ამის გამო განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი კვალიფიკაციის მუშების მომზადებას პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში და მუშათა კადრების სწავლებას უშუალოდ წარმოებაში.

კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანები მოითხოვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნაში მთავარი ის არის, რომ სწავლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ცხოვრებას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სპეციალისტთა პრაქტიკული და თეორიული მომზადება, რომ ისინი აღიზარდონ როგორც კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

თანამედროვე წარმოება, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს ემყარება, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებისაგან მოითხოვს თეორიული მომზადების მაღალ დონეს და პრაქტიკის კარგად ცოდნას.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მჭონე სპეციალისტთა მომზადებაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფორმები.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს უმაღლესი სკოლისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობა, რათა სტუდენტებს გამოუმუშავდეთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ამაღლდეს მათი კომუნისტური შეგნებულობა და აქტივობა, ახალგაზრდა სპეციალისტები აღიზარდონ კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების დაცვის სულისკვეთებით.

შესაბამისად სსრ კავშირის 1958 წლის 24 დეკემბრის კანონისა „სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი I

საშუალო სკოლის შესახებ

მუხლი 1. საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეების მომზადება ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, მათი ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების დონის შემდგომი ამაღლება. მომზადება განათლებული ადამიანებისა, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ მეცნიერებათა საფუძვლები, ახალგაზრდობის აღზრდა სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი ღრმა პატივისცემის, კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით.

საშუალო სკოლაში სწავლებისა და აღზრდის წამყვანი საწყისი უნდა გახდეს სწავლების მჭიდრო კავშირი შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

მუხლი 2. შემოღებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველგან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლება, ნაცვლად საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლებისა, 7-დან 15-16 წლის ასაკამდე ბავშვებისა და მოზრდილებისათვის.

რვაწლიანი სკოლა არის არასრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლა, რომელშაც მოსწავლეებს უნდა მისცეს ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკიური ცოდნის მტკიცე საფუძვები, ჩაუნერგოს მათ სიყვარული და მზადყოფნა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის, განაზორციელოს ბავშვთა ზნეობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა.

რვაწლიანი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ისე უნდა აიგოს, რომ ერთმანეთთან იყოს შეხამებული მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა, პოლიტექნიკური სწავლება და შრომითი აღზრდა, მოსწავლეები ფართოდ იქნან ჩაბმული საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ისეთ ფორმებში, რომლებიც მისაწვდომია მათი ასაკისათვის.

სკოლა უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს გამოავლინონ თავიანთი მიდრეკილებანი და შეგნებულად აირჩიონ მომავალი პროფესია.

მცირე დასახლებულ პუნქტებში შენარჩუნებულ იქნან დაწყებითი სკოლები პირველი ოთხი კლასის შემადგენლობით. ამ სკოლების კურსდამთავრებული მოსწავლეები გადაყვანილ უნდა იქნან უახლოესი რვაწლიანი ან საშუალო სკოლის მეხუთე კლასებში.

მუხლი 3. პასუხისმგებლობა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისათვის დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საყოველთაო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისათვის პირობების შექმნის მიზნით:

საჭიროების შემთხვევაში, იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც სკოლიდან სამი კილომეტრის მეტ მანძილზე ცხოვრობენ, მოეწყოს ინტერნატები, სადაც მათ მიეცემათ ცხელი საშელი, ან უზრუნველყოფილ იქნას ბავშვების რეგულარული მიყვანა სკოლაში და სკოლიდან წაყვანა უფასოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქმნას სკოლებთან საყოველთაო სწავლების ფონდი როგორც ბიუჯეტის სახსრებით, აგრეთვე კოლმეურნეობების, პროფესიული და კოოპერაციული ორგანიზაციების სახსრების, სასკოლო სახელოსნოების, სკოლებთან არსებული სასწავლო-საცდელი ნაკვეთების შემოსავლისა და სხვა წყაროების გამოყენებით, ხელმოკლე მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს დებულება საყოველთაო სწავლების ფონდების შესახებ.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა იმ ბავშვთა და მოზარდთა დროულად და ზუსტად აღრიცხვისა, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ, დაეკისროთ საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს ინსტრუქცია იმ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ.

მუხლი 5. მშობლები ან მათი შემცველი პირები, აგრეთვე თანამდებობის პირები, რომლებიც ხელს შეუშლიან ბავშვთა და მოზარდთა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებას, მიეცემულ იქნან პასუხისგებაში საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოსცეს დადგენილება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების შესახებ და განსაზღვროს მასში იმ მშობლებისა და მათი შემცველი პირების პასუხისმგებლობა, რომლებიც ხელს შეუშლიან ბავშვთა და მოზარდთა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებას.

მუხლი 6. მოსწავლეებს, რომლებსაც დაამთავრეს რვაწლიანი სკოლა, ეძლევათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნიმუშის მოწმობა; ამ სკოლის კურსდამთავრებულთ უფლება აქვთ შევიდნენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში.

მუხლი 7. დაწესდეს, რომ ახალგაზრდობის სრული საშუალო განათლება, დაწყებული 15-16 წლის ასაკიდან, ხორციელდება ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე იმ ანგარიშით, რომ ამ ასაკის მთელი ახალგაზრდობა ჩაებას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

მუხლი 8. დაწესდეს იმ სასწავლებლების შემდეგი ძირითადი ტიპები, რომლებიც სრულ საშუალო განათლებას იძლევიან:

ა) მუშა ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები — საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებშიც რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული და სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ დარგში მომუშავე პირები სამი წლის განმავლობაში მიიღებენ საშუალო განათლებას და აიმაღლებენ პროფესიულ კვალიფიკაციას.

მომუშავე ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც შვიდწლიანი განათლება არა აქვთ, საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დროებით შეიძლება ექნეთ კლასები, მესამედან დაწყებული, მცირე კონტინგენტის დროს მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისათვის სკოლებთან შეიქმნას ცალკეული კლასები საწარმოო სწავლებით.

ბ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები საწარმოო სწავლებით, რომლებშიც რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული პირები მიიღებენ სამი წლის განმავლობაში საშუალო განათლებას და პროფესიულ მომზადებას სახალხო მეურნეობის ან კულტურის ერთ-ერთ დარგში მუშაობისათვის. ასეთი საშუალო სკოლები შეიძლება შეიქმნას როგორც რვაწლიანი სკოლისაგან განცალკევებით, ისე მასთან ერთადაც.

თეორიისა და პრაქტიკის თანაფარდობა საწარმოო სწავლებაში და სწავლებისა და შრომის პერიოდების მონაცვლეობა დაწესდება მოსწავლეთა სპეციალური მომზადების პროფილისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით. სოფლის სკოლებში სასწავლო წელი უნდა აიგოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონურობის გათვალისწინებით.

საწარმოო სწავლება და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა საშუალო სკოლებში შეიძლება გატარდეს უახლოესი საწარმოების სასწავლო საწარმოო სათამაშოებში და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოსწავლეთა ბრიგადებში, სასწავლო-საცდელ მეურნეობებში, სასკოლო და სასკოლო-თაშორისო სასწავლო საწარმოო სახელოსნოებში;

გ) ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებშიაც რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებენ საშუალო ზოგად და საშუალო სპეციალურ განათლებას.

ამის გარდა, შემდგომი განვითარება უნდა ჰპოვონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითმა პოლიტექნიკურმა სკოლებმა, რომლებშიც მოელი რიგი საგნები უცხო ენებზე ისწავლება, აგრეთვე სკოლებმა იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც გამოიჩინეს განსაკუთრებული ნიჭი მუსიკისადმი, ქორეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნებისადმი.

მუხლი 9. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საზოგადოების როლი და დახმარება გაეწიოს ოჯახს ბავშვების აღზრდაში, გაფართოვდეს სკოლა-ინტერნატების ქსელი, აგრეთვე გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი. დაწესდეს, რომ სკოლა-ინტერნატები მოეწყობა რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ან საწარმოო სწავლების მქონე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ტიპის მიხედვით.

მუხლი 10. სპეციალური სკოლები გონებრივად და ფიზიკურად ნაკლებად განვითარებული ბავშვებისა და მოზარდებისათვის რეორგანიზებულ იქნას სკოლების დაწესებული ტიპების შესაბამისად, მათში მოსწავლე ბავშვთა და მოზარდთა განვითარების თავისებურების გათვალისწინებით.

მუხლი 11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დადგენილი წესის შესაბამისად განსაზღვროს პროფესიები, რომელთა მიხედვით უნდა განხორციელდეს საწარმოო სწავლების მქონე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი სკოლების მოსწავლეთა მომზადება, არსებული საწარმოო ბაზის და სახალხო მეურნეობის კადრების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ამასთან მხედველობაში მიიღოს ქალაქისა და სოფლის სკოლების მუშაობისა და ქალთა შრომის თავისებურებანი.

მუხლი 12. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მოაწყონ მოსწავლეთა საწარმოო სწავლება კოლმეურნეობების მოსწავლეთა ბრიგადებში, სასწავლო-საცდელ მეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებში მათ მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების ანაზღაურებით, მათთვის საჭირო ტექნიკის გამოყოფით; მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ხელმძღვანელობისათვის გამოყონ აგრონომიული და ტექნიკური პერსონალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 13. საკიროდ იქნას ცნობილი, რომ ყოველმხრივ გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში; სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს სიყვარული ცოდნისა, შრომისა, პატივისცემა შრომის ადამიანებისადმი, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს კომუნისტური მსოფლმხედველობა, აღზარდოს ისინი სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ჩაუნერგოს მოსწავლეებს სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებრივ ადგილებში კულტურული ქცევის ჩვევები.

გაუმჯობესდეს პედაგოგიური პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებში, ამაღლდეს მშობელთა და ყველა მოზრდილის პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდისათვის.

მუხლი 14. საქართველოს სსრ სკოლებში სწავლება წარმოებს მოსწავლეთა დედაენაზე.

მშობლების უფლებაა გადაწყვიტონ, რა ენაზე სწავლების სკოლაში მიაბარონ თავიანთი შვილები. რუსული ენის სწავლება იმ სკოლებში, სადაც სწავლება ქართულ ან სხვა ენაზეა, აგრეთვე ქართული ენის სწავლა იმ სკოლებში, სადაც სწავლება რუსულ ან სხვა ენაზეა, წარმოებს მშობლებისა და მოსწავლეების სურვილის მიხედვით.

უცხო ენების სწავლა წარმოებს იმ სკოლებში, სადაც ამისათვის სათანადო პირობებია.

მუხლი 15. მეცნიერების საფუძველთა სწავლებისა და საწარმოო სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სრულყოფილ იქნას სწავლების მეთოდები იმ მხრივ, რომ ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მოსწავლეთა დამოუკიდებლობა და ინიციატივა, გადიდდეს თვალსაჩინო სწავლება, ფართოდ იქნას გამოყენებული კინო, ტელეხედვა და სხვა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებანი; ფართოდ განვითარდეს სკოლებში ტექნიკური გამომგონებლობა; მოსწავლეთა მუშაობა ახალი ხელსაწყოებისა და ტექნიკურ მოწყობილობათა მოდელების შექმნისათვის, განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო ცდების დაყენება.

მუხლი 16. ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს მუშა-ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის—საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით, მიიღებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნიმუშის ატესტატს საშუალო განათლების შესახებ და უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში; ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით, გარდა ამისა, მიიღებენ მოწმობას, რომ მათ დადგენილი წესის შესაბამისად მიენიჭათ კვალიფიკაცია არჩეულ პროფესიის მიხედვით.

მუხლი 17. სკოლების გადაყვანა შვიდწლიანიდან რვაწლიან სავალდებულო სწავლებაზე, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის სრული საშუალო სკოლების მოწყობა დაწყებულ იქნას 1959-1960 სასწავლო წლიდან და დამთავრდეს 3-5 წლის განმავლობაში.

არსებული ათწლიანი სკოლები (მათი უფროსი კლასები) გარდაიქმნან ქალაქისა და სოფლის სხვადასხვა ტიპის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებად. ახლანდელი მე-8—მე-10 კლასების მოსწავლეებს საშუალება უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეცეთ დაამთავრონ საშუალო სკოლა მოქმედი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით, ამასთან უნდა გაძლიერდეს მათი შრომითი მომზადება.

სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა განხორციელდეს გეგმაზომიერად და ორგანიზებულად, არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშებული მოსახლეობის სკოლებით მომსახურების გაუარესება და საშუალო განათლების დონის დაქვეითება.

მუხლი 18. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მომუშავე ახალგაზრდობას საშუალო განათლების მიღებაში. გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმისათვის, დაანწინაურონ სამუშაოზე ის ახალგაზრდა მუშები, რომლებიც წარმატებით სწავლობენ, დახმარება გაუწიონ ამ სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, უზრუნველყონ მორიგი შვებულების მიცემა მოსწავლეებისათვის არდადეგების პერიოდში და ფასიანი დაწესებული შვებულებების მიცემა გამოცდების ჩასაბარებლად.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შექმნან საჭირო პირობები იმისათვის, რომ კოლმეურნე ახალგაზრდობამ საწარმოო მუშაობა შეუთავსოს სწავლას.

მუხლი 19. სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა განახორციელონ მკაცრი კონტროლი მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორ მონაცვლეობაზე რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში საწარმოო სწავლებით, ამასთან არ დაუშვან მათი გადატვირთვა სწავლით, საზოგადოებრივი მუშაობით და შრომითი საქმიანობით, განახორციელონ კონტროლი შრომისა და უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვაზე საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, სასკოლო და სასკოლაოშორისო სასწავლო საწარმოო სახელოსნოებში და სამუშაოზე კოლმეურნეობებში, მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად. ამ მუშაობაში ფართოთა მიიზიდონ აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მუხლი 20. სკოლის გარდაქმნასთან დაკავშირებით, პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს უნდა შეადგენდეს სკოლაში სწავლების არსის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლების და კომუნისტური აღზრდის მეთოდების სრულყოფა.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საბჭოთა პედაგოგიკის თეორიის დამუშავებას, სკოლაში პოლიტექნიკური და პროფესიული სწავლების საკითხებს, დადებითი გამოცდილების განზოგადებას და გავრცელებას.

მუხლი 21. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) განახორციელოს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების, მრავალცალიანი მეცადინეობის ლიკვიდაციისა და საწარმოო სწავლების ორგანიზაციის ღონისძიებანი, აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო ადგილების დაამობას საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის პროფესიული სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის გასავლელად;

ბ) განახორციელოს მასწავლებელთა გადამზადება და სკოლების დაკომპლექტება საქირო განათლების მქონე პედაგოგიური კადრებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ახალი ამოცანების შესაბამისად; განახორციელოს ღონისძიებანი მასწავლებელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის;

გ) დაიწესოს რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების ვადები და არდადეგების ხანგრძლივობა;

დ) დამტკიცოს საეალდებულო რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის, მუშა ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის—საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და საწარმოო სწავლების მქონე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის დებულებანი.

მუხლი 22. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ფართო მონაწილეობა მიიღონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლებთან არსებული ინტერნატების, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისა და მასწავლებელთა სახლების მშენებლობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინოს, რომ გამოეყოთ კოლმეურნეობებს კრედიტები სასკოლო მშენებლობისათვის, აგრეთვე საშენი მასალები და მოწყობილობა.

კ ა რ ი II

პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ

მუხლი 23. ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების ძირითადი ამოცანაა კულტურულ და ტექნიკურად განათლებულ კვალიფიციურ მუშათა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა გეგმაზომიერი და ორგანიზებული მომზადება სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის; მოსწავლეთა აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით, მათი იდეური გამოწრთობა, მათთვის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა.

მუხლი 24. იმ ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისათვის, რომელიც წარმოებაში მიდის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, შეიქმნას საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სპეციალდებიან წარმოების დარგების მიხედვით და ახორციელებენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ნაყოფიერ შრომაში ახალგაზრდობის აქტიური, სისტემატური მონაწილეობის საფუძველზე და საწარმოებთან, მშენებლობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან მჭიდრო კავშირში.

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მოქმედებენ საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებისა და ორგანიზაციების ბაზაზე, ხოლო სოფლის პროფესიული ტექნიკური სასწავლებლები—კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა საწარმოთა ბაზაზე. ამასთან ანხორციელებენ კვალიფიციური მუშათა კადრებისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა მომზადებას სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად.

მუხლი 25. გარდაიქმნას შრომითი რეზერვების სამთამადნო მრეწველობის სკოლები, სახელოსნო, სარკინიგზო, სამშენებლო, ტექნიკური სასწავლებლები და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლები, სახალხო მეურნეობის საბჭოს და უწყებების საფაბრიკო-საქარხნო მოწყობის სკოლები და სხვა პროფესიული სასწავლებლები ქალაქის დღისა და საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად სწავლების ვადით ერთიდან სამ წლამდე და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად სწავლების ვადით ერთიდან ორ წლამდე.

არსებული პროფესიული სასწავლებლების გადაკეთება ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად ჩატარდეს 3-5 წლის განმავლობაში.

მუხლი 26. იმ მიზნით, რომ თანდათანობით იქნან გადაყვანილი პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლები ნაწილობრივ თვითანაზღაურებაზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და თანმიმდევრულად განახორციელოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების გაფართოებისა და საწარმოო საქმიანობისაგან მათი შემოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი, რისთვისაც მიეცეთ მათ რენტაბელური საწარმოო შეკვეთები, გამოიყოთ საპირო მიწის ფართობები სასწავლო მეურნეობებისათვის, დამატებით იქნან აღჭურვილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სასწავლო- საწარმოო სახელოსნოებით, თანამედროვე მოწყობილობით და ა. შ.

მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის ზრდასთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ გადიდდეს მოსწავლეთა დაინტერესებულობა შესწავლილი პროფესიის უკეთ დაუფლების საქმეში, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული რომ შეიცვალოს მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის არსებული პირობები, შემოღებულ იქნას მოსწავლეთათვის ხელფასის გადახდა უფასო ტანსაცმლისა და კვების ნაცვლად. სრული სახელმწიფო უზრუნველყოფა შეუნარჩუნდეთ ობოლ მოსწავლეებს, საბავშვო სახლების აღსაზრდელებს და მრავალშვილიანი მშობლების შვილებს.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გამოჰყონ შესაბამისი სახსრები კოლმეურნე ახალგაზრდობის სწავლებისათვის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

მუხლი 27. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები თანამედროვე საწარმოო მოწყობილობით სასწავლო სახელოსნოებისა და ლაბორატორიებისათვის და მიწის ნაკვეთებით სასწავლო მეურნეობისათვის, დაუთმონ ფასიანი სამუშაო ადგილები საწარმოებსა და ორგანიზაციებში საწარმოო პრაქტიკისათვის, უზრუნველყონ სასწავლებლები საწარმოო შეკვეთებით, აგრეთვე ამ შეკვეთების შესასრულებლად საჭირო მასალებითა და ინსტრუმენტებით, შექმნან პირობები სასწავლო პროცესის წარმატებით ჩატარებისა და იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ აითვისოს ახალი ტექნიკა, მოწინავე ტექნოლოგია და შრომის მაღალნაყოფიერი ხერხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 28. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და განახორციელოს ამ კანონიდან გამომდინარე ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ:

ა) შემდგომი განვითარება ჰპოვოს პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მუშათა კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა და იმ ახალგაზრდობის არსებული კონტინგენტის გათვალისწინებით, რომელიც პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებას საჭიროებს;

ბ) ტექნიკუმებსა და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მომზადებულ იქნან საწარმოო სწავლების ოსტატები და მასწავლებლები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის;

გ) მნიშვნელოვნად გადიდდეს დედაენაზე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გამოცემა პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისათვის, გაფართოვდეს სასწავლო-ტექნიკური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების წარმოება. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ფართოდ იქნას გამოყენებული აგრეთვე რადიო, ტელევიდეა და სხვა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი;

დ) განმტკიცდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, ამასთან გათვალისწინებულ იქნას სასწავლო შენობების, საწარმოო სახელოსნოებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობის გაფართოება.

მუხლი 29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს პროფესიული სწავლებისა და რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და საწარმოო სწავლების მქონე საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის პერსპექტიული და წლიური გეგმები, ამასთან იქონიოს მხედველობაში სამუშაოზე ახალგაზრდობის მიღების ჯავშნის დაწესება საწარმოებში და შრომისა და უსაშიშროების ტექნიკის წესების მტკიცედ დაცვა.

მუხლი 30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშათა მომზადების ძირეულად გაუმჯობესებას ინდივიდუალურ-ბრიგადული და კურსობრივი სწავლების, აგრეთვე წარმოებაში დასაქმებულ მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

ᲙᲐᲠᲘ III

საშუალო სპეციალური განათლების შესახებ

მუხლი 31. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, აგრეთვე კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ტექნიკოსებს, როგორც წარმოების უშუალო ორგანიზატორებს, და სხვა საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშაკებს.

თანამედროვე წარმოების ინტერესები, რომლებიც ემყარება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, ტექნიკუმების კურსდამთავრებულთაგან მოითხოვს თეორიული მომზადების მაღალ დონეს და პრაქტიკის კარგ ცოდნას.

ამის შესაბამისად საჭიროდ ჩაითვალოს საშუალო სპეციალური განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფა და საშუალო კვალიფიკაციის სპეცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტების მომზადების გაუმჯობესება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან სწავლების მჭიდრო კავშირისა და საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფართო განვითარების საფუძველზე.

მუხლი 32. სპეციალისტთა მომზადება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში განხორციელდეს რვაწლიანი სკოლის ბაზაზე, ხოლო ცალკეულ სპეციალობაში — სრული საშუალო განათლების ბაზაზე.

მუხლი 33. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებისას სწავლებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციის შემდეგი ფორმების გამოყენება სპეციალობისა და შრომის პირობების მიხედვით:

ა) წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საღამოს და დაუსწრებელი სწავლების საშუალებით;

ბ) წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ სწავლების სხვადასხვა პერიოდში წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით;

გ) წარმოებისაგან მოწყვეტით და სასწავლებლებში მიღებულ თეორიული ცოდნის შეხამებით სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა დარგის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში წარმოებულ მუშაობასთან.

დაწესდეს, რომ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღებულმა სწავლამ საშუალო სკოლის მოცულობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად მოსწავლეები უნდა უზრუნველყოს იმით, რომ მიიღონ საჭირო თეორიული და პრაქტიკული მომზადება სპეციალობის მიხედვით, ხოლო ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — აგრეთვე კვალიფიკაცია მუშათა ერთ-ერთი პროფესიის თანრიგის მიკუთვნებით დადგენილი წესით.

მუხლი 34. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოეწყოს ინდუსტრიულ ტექნიკუმებთან საამქროები და სახელოსნოები, რომლებიც მოსწავლეთა ძალებით გამოუშვებენ სამრეწველო პროდუქციას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან — მსხვილი მეურნეობანი, რომლებშიც ყველა ძირითად სამუშაოს თვით მოსწავლეები შეასრულებენ.

მუხლი 35. საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნა განხორციელდეს 3-5 წლის განმავლობაში, დაწყებული 1959-1960 სასწავლო წლიდან. 1958 წელს და უფრო ადრე საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხული მოსწავლეებს, აგრეთვე საშუალო განათლების მქონე პირთ, რომელნიც შევლენ აღნიშნულ სასწავლებლებში 1959-1960 სასწავლო წელს, მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ დაამთავრონ სასწავლებლები მოქმედი სასწავლო გეგმებით, ამასთან გაძლიერდეს მომავალი სპეციალისტების პრაქტიკული მომზადება.

1959-1960 სასწავლო წლიდან ახალი სასწავლო გეგმებით სწავლება მოეწყოს იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც შედიან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შვიდი კლასის, აგრეთვე შემდგომში ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ.

მუხლი 36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ამ კანონიდან გამომდინარე ღონისძიებანი საშუალო სპეციალური განათლების განვითარებისათვის, ამასთან გაითვალისწინოს:

ა) საშუალო სპეციალური სასწავლებლების ქსელის მოწესრიგება მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოება წარმოებასთან, ამასთან მხედველობაში მიიღოს საქართველოს სსრ მოთხოვნილება კადრებზე, ფართოდ განაზორციელოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების კოოპერირება საშუალო სპეციალობის განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებაში;

ბ) დაუსწრებელი და საღამოს განათლების, როგორც სპეციალისტთა მომზადების ძირითადი ფორმის, გაფართოება და გაუმჯობესება, დაუსწრებელი და საღამოს ტექნიკუმების განმტკიცების გზით, აგრეთვე დაუსწრებელი და საღამოს განყოფილებების მოწყობის გზით სტაციონარულ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან, რომელთაც ჰყავთ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრები და აქვთ შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზა; პირობების შექმნა დაუსწრებელთათვის სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის გამოსაცემად;

გ) საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება, არსებული და ახლად შექმნილი იმ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების, ლაბორატორიებისა და სასწავლო კაბინეტების მოწყობილობით შევსება, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალისტების მაღალხარისხოვან მომზადებას სასწავლებლებში არსებულ ყველა სპეციალობაში;

დ) საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებისას კინოს, რადიოს, ტელეხედვის და სხვა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების ფართო გამოყენების უზრუნველყოფა;

ე) ტექნიკუმის მოსწავლეთა უზრუნველყოფა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლების პერიოდში—საწარმოებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში ხელფასიანი სამუშაო ადგილებით, აგრეთვე მათთვის ადგილების გამოყოფა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გასავლელად.

ᲙᲐᲠᲘ IV

უმაღლესი სკოლის შესახებ

მუხლი 37. კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ უმაღლესი სკოლის დაახლოებას ცხოვრებასთან, წარმოებასთან, სპეციალისტების მომზადების თეორიული დონის ამაღლებას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა შესაბამისად. უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომმა განვითარებამ და სრულყოფამ საქართველოს სს რესპუბლიკაში უნდა უზრუნველყოს სპეციალისტების უკეთესი პრაქტიკული და თეორიული მომზადება, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მნიშვნელოვანი ამაღლება, ყველა მასწავლებლის აქტიური მონაწილეობა სტუდენტების აღზრდაში.

უმაღლესი სკოლის მთავარი ამოცანებია:

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე აღზრდილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელნიც დაუფლებული იქნებიან საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, კარგად ეცოდინებათ პრაქტიკა; უნარი ექნებათ არა მარტო მთლიანად გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა, არამედ შექმნან კიდეც მომავლის ტექნიკა.

მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა შესრულება, რომელნიც ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას;

სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება;

სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების სხვადასხვა დარგში დასაქმებულ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელება მშრომელებში.

მუხლი 38. სპეციალისტების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში განხორციელდეს სრული საშუალო განათლების ბაზაზე და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე. პრაქტიკასთან და შრომასთან სწავლების შეერთების კონკრეტული ფორმები უნდა განისაზღვროს უმაღლესი სასწავლებლის, ფაკულტეტის პროფილისა და სტუდენტთა შემადგენლობის მიხედვით, აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების თავისებურებათა მიხედვით.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღება უნდა ხდებოდეს იმ დახასიათებათა საფუძველზე, რომლებსაც გასცემენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები, სკოლების პედაგოგიური საბჭოები, რათა უმაღლეს სასწავლებლებში საკონკურსო შერჩევის გზით ჩაირიცხონ ყველაზე ღირსეული, მომზადებული და ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წარმოებაში.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს უპირატესობა მიეცეთ იმ პირთ, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან საჭირო პირობები უმაღლეს სასწავლებლებში შემსცელელ ახალგაზრდა მუშათა და კოლმეურნეთა მომზადებისათვის.

მუხლი 39. ინჟინერთა მომზადების დროს სწავლების შეხამება შრომასთან ისე უნდა მოეწყოს, რომ სტუდენტთა საწარმოო შრომა ხელს უწყობდეს მათი მომავალი სპეციალობის უკეთ დაუფლებას და აძლევდეს მათ შესაძლებლობას თანმიმდევრობით შეისწავლონ წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, ამ მიზნით სპეციალობათა მეტი წილისათვის უფრო მიზანშეწონილია სწავლება შეუთავსდეს მუშაობას წარმოებაში პირველ ორ კურსზე საღამოს ან დაუსწრებელი განათლების სისტემის მიხედვით.

მთელი რიგი სპეციალობებისათვის, რომლებთანაც დაკავშირებულია სტუდენტთა დიდი ლაბორატორიული პრაქტიკა, მიზანშეწონილია პირველ 2—3 წელს სწავლება მიმდინარეობდეს წარმოებისაგან მოწყვეტით. ამის შემდეგ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა ერთი წლის განმავლობაში ხელფასიან თანამდებობებზე უშუალოდ წარმოებაში, ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა დახმარება უნდა გაუწიონ უმაღლეს სასწავლებლებს ლაბორატორიების, კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობაში, სტუდენტთა საწარმოო სწავლების ორგანიზაციაში.

უმაღლესი ტექნიკური განათლების განვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ტექნიკის დარგებისათვის ინჟინერთა კადრების მომზადებას რესპუბლიკაში მეცნიერული და საპროექტო-საკონსტრუქტორო მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის.

მუხლი 40. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების დროს სწავლება უნდა მოეწყოს მსხვილი საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე ორგანიზებულ, ძლავარი სანიმუშო სასწავლო მეურნეობის მქონე ინსტიტუტებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სტუდენტთა ძალებით სრულდება. სპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალისტთა მომზადებას უნდა ჰქონდეს გარკვეული მიმართულება, საქართველოს სსრ პირობების შესაბამისად, ხოლო სწავლების შეხამება ნაყოფიერ შრომასთან უნდა ხდებოდეს წარმოების სეზონურობის გათვალასწინებით.

მუხლი 41. საჭიროდ იქნას მიჩნეული საუნივერსიტეტო განათლების შემდგომი განვითარება, სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების გაძლიერება, მათემატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის მეცნიერებათა ახალი დარგების სპეციალისტთა გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება.

ამაღლდეს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი ბუნებისმეტყველების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში, სკოლებისათვის მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მომზადებაში.

უნივერსიტეტის დაკომპლექტება და იქ სწავლების შრომასთან შეხამება უნდა მოიწყოს ისე, რომ სტუდენტები სწავლების პროცესში იღებდნენ მუშაობის ჩვევებს სპეციალობის მიხედვით, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სპეციალისტებს (ეკონომისტებს, ფილოსოფოსებს, იურისტებსა და სხვ.), გარდა ამისა, ჰქონდეთ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის გარკვეული გამოცდილება.

მუხლი 42. საჭიროდ იქნას მიჩნეული მასწავლებელთა მომზადების გაუმჯობესება პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოიწყოს აგრონომიის, მეცხოველეობის, ტექნიკისა და სხვა სპეციალურ დისციპლინათა მასწავლებლების მომზადება; პედაგოგიურ ინსტიტუტებში გაფართოვდეს დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადება, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ შემდგომ მთლიანად დამთავრდეს ყველა სკოლის დაკომპლექტება უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებით. ამაღლდეს სწავლების სამეცნიერო-თეორიული დონე პედაგოგიურ ინსტიტუტებში; გაძლიერდეს საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელობა მასწავლებელთა მომზადებაში; იმ უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტების დროს, რომლებიც მასწავლებლებს ამზადებენ, გათვალისწინებულ იქნას მასწავლებლის პროფესიის სპეციფიკური თავისებურებანი; ამაღლდეს სკოლების როლი მომავალ მასწავლებელთა შერჩევაში; პედაგოგიურ ინსტიტუტებში მიღებულ იქნან უპირატესად ის პირნი, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომის გარკვეული გამოცდილება, განსაკუთრებით ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება.

მუხლი 43. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ექიმების მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნას ექიმთა პროფესიის სპეციფიკური მოთხოვნანი, სამედიცინო ინსტიტუტი უპირატესად იმ ახალგაზრდებიდან დაკომპლექტდეს, რომელთაც აქვთ დაბალი მომსახურე პერსონალის სამედიცინო და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მუშაობის პრაქტიკული სტაჟი; სტუდენტთა სწავლება შეხამებულ იქნას განუწყვეტელ პრაქტიკასთან სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარულ-ჰიგიენურ დაწესებულებებში.

იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ საშუალო სამედიცინო განათლება და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი სპეციალობის მიხედვით, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ სწავლება სამედიცინო ინსტიტუტში მოიწყოს მუშაობისაგან მოუწყვეტლივ.

მუხლი 44. სპეციალისტების მომზადება კულტურისა და ხელოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებულ იქნას ზოგადი, აგრეთვე სპეციალური საშუალო განათლების ბაზაზე.

მუსიკის, ფერწერის, თეატრალური და სხვა სახეობის ხელოვნების დარგის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების დროს ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლების სისტემა, რათა ამ განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცეთ მშრომელთა ფართო წრეებს და ხელი შეუწყოს ტალანტების გამოვლინებას ხალხიდან.

საჭიროდ ჩაითვალოს, რათა კულტურისა და ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში გაფართოვდეს სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კვალიფიციური მასწავლებლების, საგუნდო, თეატრალური და სხვა მხატვრული (მათ შორის თვითმოქმედისაც) კოლექტივების ხელმძღვანელების მომზადება.

მუხლი 45. უმაღლესი ფიზიკულტურული განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების დროს გაფართოვდეს კადრების მომზადების სისტემა დაუსწრებელი და საღამოს განათლების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მომუშავე სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

გათვალისწინებულ იქნას ფიზიკური კულტურის მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და მწვრთნელების მომზადების სპეციფიკა სპორტის სახეობათა მიხედვით, და დაკომპლექტდეს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი უმთავრესად მაღალი სპორტული მომზადების მქონე ახალგაზრდებით, რომელნიც იჩენენ მიდრეკილებას საწვრთნელი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი; ამაღლდეს ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა და მწვრთნელთა მომზადების პედაგოგიური და საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობა.

მუხლი 46. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული მოეწყოს უმაღლეს სასწავლებლებში იმ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტები და განყოფილებები, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ და მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებში.

მოეწყოს უმაღლეს სასწავლებლებში, რომელნიც მასწავლებლებს ამზადებენ, მასწავლებლების გადასამზადებელი ფაკულტეტები, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ შემდგომ შეუნარჩუნდეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს მასწავლებლებს შორის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების ამოცანა და მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია.

მუხლი 47. საჭიროდ იქნას მიჩნეული გაუმჯობესდეს უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება ასპირანტურის მეშვეობით, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს დაუსწრებელი ასპირანტურის სისტემა. ასპირანტთა მომზადება მოხდეს არა მარტო სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლებისათვის, არამედ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაოდაც.

მუხლი 48. გაძლიერდეს სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, გაუმჯობესდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლება, აღიზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების, შრომისადმი სიყვარულის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტებში შემეცნების მეცნიერული მეთოდის, მეცნიერების დაუფლებისადმი შემოქმედებითი მიდგომის, სწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისადმი პასუხისმგებელი დამოკიდებულების ამაღლებას. ის პირნი, რომლებმაც საბჭოთა უმაღლესი სკოლა დამთავრეს, უნდა იყვნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების მაგალითის მაჩვენებლები.

მუხლი 49. ამაღლდეს უმაღლეს სასწავლებელთა როლი მეცნიერულ გამოკვლევათა განხორციელებაში, რომლებსაც აქვთ მაღალი თეორიული დონე და დიდი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების საჭიროებებთან მეცნიერული მუშაობის დაახლოების მიზნით, მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს კავშირი ერთი მხრივ, უმაღლეს სასწავლებლებსა და, მეორე მხრივ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, ამაღლდეს სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოთა როლი უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული მუშაობის დაგეგმვაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა სისტემატური დახმარება უნდა გაუწიონ უმაღლეს სასწავლებლებს მეცნიერულ გამოკვლევათა რეალიზაციისა და საწარმოო ცდების დაყენების საქმეში.

მუხლი 50. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ უფრო ფართოდ ჩაებან უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიურ მუშაობაში საწარმოთა, მშენებლობათა, საკონსტრუქტორო ბიუროთა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა ყველაზე კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები და სხვა პრაქტიკული მუშაკები, რომლებსაც უნარი შესწევთ სწავლების დროს გამოიყენონ წარმოების მოწინავე მეთოდები და მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები.

მუხლი 51. სახალხო მეურნეობის საბჭომ, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მისცენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, მათი განაცხადების შესაბამისად, ხელფასიანი საშტატო სამუშაო ადგილები და ტექნიკური თანამდებობანი სტუდენტებისათვის, უზრუნველყონ სტუდენტთა საწარმოო სწავლება, მათთვის საჭირო სპეციალური პირობების შექმნა და სპეციტანსაცმლის მიცემა.

მუხლი 52. ამაღლდეს უმაღლეს სასწავლებელთა როლი მოსახლეობაში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების საქმეში. მოიწყოს უმაღლესი სასწავლებლების წამყვან მეცნიერთა სისტემატური გამოსვლები საჯარო ლექციებითა და მოხსენებებით მეცნიერულ და პოლიტიკურ თემებზე, უმაღლესმა სასწავლებლებმა გააფართოონ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოშვება, ფართოდ გამოიყენონ რადიო და ტელეხედვა ლექციებისა და მოხსენებებისათვის. პრაქტიკულად განხორციელდეს უმაღლეს სასწავლებლებთან ხელმისაწვდომი ლექტორიუმებისა და სემინარების მოწყობა, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ მიიღონ განსაზღვრული ცოდნა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში.

მოიწყოს უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში უცხო ენათა საღამოს ფაკულტეტები და განყოფილებები, სადაც მოქალაქენი მუშაობისაგან თავისუფალ დროს შეისწავლიან უცხო ენებს.

მუხლი 53. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ამ კანონიდან გამომდინარე ღონისძიებანი რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების განვითარებისათვის, ამასთან გაითვალისწინოს:

ა) უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების პერსპექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული დაგეგმვის საქმის გაუმჯობესება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების განვითარების გათვალისწინებით;

ბ) უმაღლეს სასწავლებელთა ქსელის მოწესრიგება, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ უმაღლესი სასწავლებლები დაუახლოვდნენ წარმოებას და გაერთიანდნენ ერთი პროფილის უმაღლესი სასწავლებლები;

გ) უმაღლეს სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება და განმტკიცება, ლაბორატორიების აღჭურვა უახლესი მოწყობილობით, უმაღლესი სასწავლებლების საერთო საცხოვრებელთა რაოდენობის გაფართოება, სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება;

დ) საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, რაც უზრუნველყოფს კინოს, რადიოს, ტელევიზიისა და სხვა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენებას;

ე) სპეციალიზებული გამომცემლობის შექმნა, რათა დაკმაყოფილებულ იქნას სასწავლო ლიტერატურაზე უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა სტუდენტების მოთხოვნილება, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისა რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ.

მუხლი 54. უმაღლესი განათლების გარდაქმნა საქართველოს სს რესპუბლიკაში განხორციელდეს 3—5 წლის განმავლობაში, დაწყებული 1959—1960 სასწავლო წლიდან.

— : —

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა და სამხრეთ ოსეთის მუშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა შეიტანონ საბჭოების სესიების განსახილველად ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ კანონიდან და უზრუნველყოფენ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებას, საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებასა და საშუალო და უმაღლესი განათლების შემდგომ განვითარებას.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ ცხოვრებასთან სკოლის დაახლოება შექმნის საჭირო პირობებს მოზარდი თაობის უკეთესი აღზრდისათვის, რომელიც კომუნიზმის დროს იცხოვრებს და იშრომებს.

სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა საზოგადოების შემდგომი მატერიალური და სულიერი განვითარებისათვის, აამაღლებს საბჭოთა სკოლის როლს ახალგაზრდობის განათლებასა და აღზრდაში, უკეთ უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს "ყველა მშრომელი სკოლის გარდაქმნის პროგრამას მიიღებს როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის ახალ გამოვლინებას მოზარდი თაობის სწავლისა და აღზრდისათვის და აქტიურად ჩაებმება მისი განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 134 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ

შესაბამისად კანონისა „საქართველოს სს რეპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 121 მუხლისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 134 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 134. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლებით, საშუალო ზოგადი პოლიტექნიკური განათლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარებით ცხოვრებასთან, წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე, საღამოს და დაუსწრებელი განათლების ყოველნაირი განვითარებით, ყველა სახეობის უფასო განათლებით, სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედა ენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

15. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1. 1959 წლის 21 იანვრისა „საქართველოს სსრ კაპრეთის რაიონის გაუქმების შესახებ“.

2. 1959 წლის 21 თებერვლისა „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შესახებ“.

3. 1959 წლის 10 აპრილისა „აფხაზეთის ასსრ სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ერთ—სოხუმის რაიონად გაერთიანების შესახებ“.

4. 1959 წლის 10 აპრილისა „საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის გაუქმების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 1957 წლის 13 მარტისა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხოს სამმართველოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოდ გარდაქმნისა და საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში მილიციის სამმართველოების და განყოფილებების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მილიციის სამმართველოებად და განყოფილებებად გარდაქმნის შესახებ“.

6. 1958 წლის 10 თებერვლისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების გაუქმების შესახებ“.

7. 1959 წლის 14 აპრილისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის განყოფილებების გაუქმებისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ვაჭრობის სამმართველოს შექმნის შესახებ“.

8. 1959 წლის 14 აპრილისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებების გაუქმების შესახებ“.

9. 1959 წლის 15 აპრილისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების გაუქმებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების შექმნის შესახებ“.

ამ ბრძანებულებათა შესაბამისად ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის 103 მუხლი და შეტანილ იქნას ცვლილებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19, 20, 56, 81 102 და 104 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი** 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„**მუხლი** 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება გაგრის, გალის, გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„**მუხლი** 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი მეურნეობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
მშენებლობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
წყალთა მეურნეობისა".

„**მუხლი 81.** სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ქმნის აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებსა და სამმართველოებს:

განყოფილებებს:
ადგილობრივი მეურნეობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
კულტურისა;
მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა;
საგზაოს;
საერთოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საგეგმო კომისიას.
სამმართველოებს:
სოფლის მეურნეობის;
შინაგან საქმეთა;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, ავტონომიური ოლქის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საჭიროების მიხედვით, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭო ქმნის სხვა განყოფილებებსა და სამმართველოებს".

„**მუხლი 102.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას და შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;
კულტურისა;
მილიციის;
საგეგმოს;
საგზაოს;
საერთო-ს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან

და, გარდა ამისა, რაიონის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საჭიროების მიხედვით საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების და ავტონომიური ოლქის მშრომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან სხვა განყოფილებებსა და სამმართველოებს".

„მუხლი 104. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;
კულტურისა;
მილიციის;
მშენებლობის და არქიტექტურის საქმეთა;
საგეგმოს;
საგზაოს;
საერთოს
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, ქალაქის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საჭიროების მიხედვით საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ქმნიან სხვა განყოფილებებსა და სამმართველოებს".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი

16. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 31 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 31 მუხლში შეტანილ იქნას ცვლილება და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 31. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ირჩევს საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის ოთხ მოადგილეს.

საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს სხდომებს და განაგებს მის შინაგან განაწესს".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 123 მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

შესაბამისად სსრკ უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 25 დეკემბრის კანონისა „სახალხო სასამართლოების არჩევნების წესის შეცვლის შესახებ“ შეტანილ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლში ცვლილება და დამატება და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 123. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის (ქალაქის) მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებებზე მათი საქუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ჯარის ნაწილებში — ორი წლის ვადით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

18. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

„საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის თაობაზე“ მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 4 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბ. ჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე—ძოწენიძე გიორგი სამსონის-ძე—დეპუტატი ქალაქ თბილისის მელიქიშვილის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები:

შინკუბა ბაგრატ ვასილის-ძე—დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ტამიშის საარჩევნო ოლქიდან;

კომახიძე რევაზ მურადის-ძე—დეპუტატი აჭარის ასსრ ზღვისპირის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—ველდიაშვილი ზაალ ბესარიონის-ძე—დეპუტატი თელავის რაიონის ნიფარეულის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები:

ბოგვერაძე გრიგოლ ალექსანდრეს-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის კომკავშირის საარჩევნო ოლქიდან;

გაზაევი ვლადიმერ ისაკის-ძე — დეპუტატი ქ. სტალინირის ლენინის საარჩევნო ოლქიდან;

დავითაშვილი არჩილ მალხაზის-ძე — დეპუტატი გურჯაანის რაიონის შაშიანის საარჩევნო ოლქიდან;

ვაშაკიძე გრიგოლ სილიბისტროს-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქიდან;

ივაშჩენკო დიმიტრი ანდრიას-ძე — დეპუტატი ახალქალაქის რაიონის საქალაქო საარჩევნო ოლქიდან;

მეავანაძე ვასილ პავლეს-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის ენგელსის საარჩევნო ოლქიდან;

რაჰველიშვილი გალინა ვარლამის ასული — დეპუტატი ქ. თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქიდან;

ქვარცხავა აკაკი კონსტანტინეს-ძე — დეპუტატი ზუგდიდის რაიონის სტალინის საარჩევნო ოლქიდან;

შანშიაშვილი ალექსანდრე (სანდრო) ილიას-ძე — დეპუტატი გურჯაანის რაიონის კაჭრეთის საარჩევნო ოლქიდან;

ჩხობაძე პეტრე იოსების-ძე — დეპუტატი ქ. ქუთაისის ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქიდან;

ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული — დეპუტატი ქ. თბილისის ლადო კეცხოველის საარჩევნო ოლქიდან;

ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის-ძე — დეპუტატი ქ. თბილისის ძერჟინსკის საარჩევნო ოლქიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაშაშვილი მიხეილ ზაქარიას-ძე — დეპუტატი გორის რაიონის კარალეთის საარჩევნო ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

20. საქართველოს სსრ მთავრობის—მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეიქმნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—ჯაფარიძეშვილი გივი დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.—საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი—კუტავა მიტროფანე იონას-ძე.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—ლაბახუა არქიპ მირონის-ძე.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—ციმაკურიძე კონდრატ სოკრატის-ძე.

ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი—ბარიგიანი კარლო ისაკის-ძე.

განათლების მინისტრი—ჯიბლაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე.

ვაჭრობის მინისტრი—ღვინჯილია მიხეილ ბაგრატის-ძე.

კავშირგაბმულობის მინისტრი—ქრისტესაშვილი გრიგოლ ანდრიას-ძე.

კულტურის მინისტრი—ჩხიკვიშვილი დავით იოსების-ძე.

მშენებლობის მინისტრი—ლორთქიფანიძე სიმონ სევერიანეს-ძე.

საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი—დავითაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე.

სოფლის მეურნეობის მინისტრი—ჟანუყვაძე შოთა ილარიონის-ძე.

სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი—ჩუბინიძე მირონ დიმიტრის-ძე.

ფინანსთა მინისტრი—ჩხეიძე ბეჟან ალექსანდრეს-ძე.

შინაგან საქმეთა მინისტრი—ღარიბაშვილი ივანე იოსების-ძე.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი—მარუაშვილი გიორგი მინას-ძე.

წყალთა მეურნეობის მინისტრი—ლაღიძე ილია ნიკიფორეს-ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე—საქართველოს სსრ მინისტრი—ჩოგოვაძე გიორგი ირაკლის-ძე.

მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე—გოცირიძე ოთარ დავითის-ძე.

მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე—საქართველოს სსრ მინისტრი—ჯაბუა გიორგი ანდრიას-ძე.

მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე—მიქელაძე გივი შალვას ძე.

მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე—ინაური ალექსი ნიკოლოზის-ძე.

მინისტრთა საბჭოს კონტროლის კომისიის თავმჯდომარე—მეგრელიშვილი მამია ამბერკის-ძე.

მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე—ლორთქიფანიძე ბეჟან ვლადიმერის-ძე.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები თანამდებობების მიხედვით:

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—ჩიქოვანი მიხეილ გერასიმეს-ძე.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—თხილაიშვილი ალექსანდრე დურსუნის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

21. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1959 წლის 18 თებერვლისა ამხ. დავით გრიგოლის-ძე მამამთავრიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

1959 წლის 21 თებერვლისა ამხ. სერგო საბას-ძე როსტიაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

22. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად ამხ. გ. მ. მარუაშვილის დანიშვნის თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 18 თებერვლის ბრძანებულება ამხ. გიორგი მინას-ძე მარუაშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

23. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხ. მიხეილ გრიგოლის-ძე ვეფხვაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ამხ. გ. კ. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას ამხ. გიორგი კონსტანტინეს-ძე ცქიტიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

25. ამხ. ამხ. ა. ვ. აბაშიძის, ნ. ა. ბადაგაძის, გ. ვ. ბლიაძის, ვ. ვ. მუშკუდიანის და ა. ე. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად ამხ. ამხ.:

აბაშიძე ანდრო ვლადიმერის-ძე,
ბადაგაძე ნიკოლოზ ალექსის-ძე,
ბლიაძე გოდერძი ვლადიმერის-ძე,
მუშკუდიანი ვიქტორ ვასილის-ძე,
ტაკიძე არონ ერმალოს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 18 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი

26. გრძანებულება შ. ი. ამირანაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ შალვა იოსონის-ძე ამირანაშვილს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 13 აპრილი.

27. გრძანებულება საქართველოს სსრ მშომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის განყოფილებების გაუქმებისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ვაჭრობის სამმართველოს შექმნის შესახებ

სამმართველო აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მისი შენახვის ხარჯების შემცირების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს.

1. გაუქმდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის განყოფილებები რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში, გარდა ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ რუსთავისა და ამ განყოფილებათა ფუნქციები დაეკისროს შესაბამის სახელმწიფო და კოოპერაციულ სავაჭრო ორგანიზაციებს.

2. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, ვაჭრობის განყოფილების ნაცვლად, შეიქმნას ვაჭრობის სამმართველო.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 და 104 მუხლებში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 14 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ერთ სამინისტროდ—ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროდ გაერთიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებები რესპუბლიკის ყველა რაიონსა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 და 104 მუხლებში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 14 აპრილი.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების გაუქმებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების შექმნის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის დარგში ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოები.

2. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების შემადგენლობაში შეიქმნას სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციები.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 და 104 მუხლებში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 15 აპრილი.